

ინდიკატორების პასპორტი

შენიშვნა: საქართველოს 2023-2028 წლების კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის ლოგიკური ჩარჩოს საბაზისო წლებად განსაზღვრულია 2021 წელი. აღნიშნული გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ სტრატეგიის მიღების მომენტისათვის 2022 წლის სრული და დაზუსტებული მონაცემები არ არის გამოქვეყნებული.

შენიშვნა: 2021 და წინა წლების მაჩვენებელი რიგ ინდიკატორებთან მიმართებით არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად განისაზღვრა N/A

ინდიკატორის დასახელება	1.1 სახელმწიფო საშინაო ვალის წილი მთლიან სახელმწიფო ვალში			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის		
	V			
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1. კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთს პერიოდის ბოლოს შეფარდებული სახელმწიფოს მთლიანი ვალის ნაშთთან (ევრობონდი, საგარეო ვალი და საშინაო ვალი).			
დადასტურების წყარო	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი იყოფა სახელმწიფოს მთლიანი ვალის ნაშთზე და მრავლდება 100-ზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028

	მაჩვენებელი	19.00%	29.00%	35.00%
--	-------------	--------	--------	--------

ინდიკატორის დასახელება	1.2 როგორც ლარში ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ჯამური ნაშთი მშპ-თან მიმართებით (მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციები)	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
	V	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1. კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ჯამური ნაშთის (განთავსებული) შეფარდებას მშპ-თან მიმდინარე ფასებში. გამოთვლაში გათვალისწინებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ადგილობრივ ბაზარზე გამოშვებული, როგორც საჯარო, ასევე კერძო ობლიგაციები. მაჩვენებელი არ მოიცავს ისეთი ორმაგი ლისტინგის ობლიგაციებს, რომელთა პირველადი გამოშვების ბაზარი არის საზღვარგარეთ.	
დადასტურების წყარო	ბლუმბერგის ტერმინალი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ	
მეთოდოლოგია	როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ჯამური ნაშთი იყოფა მშპ-ზე მიმდინარე ფასებში და მრავლდება 100-ზე. ჯამური ნაშთი გამოიანგარიშება როგორც კორპორატიული ობლიგაციების ჯამურ ემისიას გამოკლებული შესაბამისი ემისიის ფარგლებში გამოთვლის მომენტისათვის განხორციელებული გადახდები. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ნაშთის გამოთვლისას გამოიყენება შესაბამისი პერიოდის ბოლოს არსებული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები. თუ დათვლის მომენტისათვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ნომინალური მშპ-ს	

	დაზუსტებული მაჩვენებელი, მაშინ გამოთვლაში გამოიყენება ქვეყნის პირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD)-ში ასახული ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელი მაჩვენებელი.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	3.46%	6.50%	7.00%

ინდიკატორის დასახელება	1.3 დალისტული აქციების საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებით		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის		ამოცანის შედეგის
	V		
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 1. კაპიტალის ბაზრის ინსტრუმენტებით ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა		
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს საქართველოში არსებულ საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული, ანუ დალისტული, აქციების საბაზრო კაპიტალიზაციის შეფარდებას მშპ-თან მიმდინარე ფასებში.		
დადასტურების წყარო	საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები		
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ		
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის დალისტული აქციების საბაზრო კაპიტალიზაციის საშუალო მაჩვენებელი (პერიოდის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს არსებული მონაცემების საშუალო) იყოფა მშპ-ზე მიმდინარე ფასებში და მრავლდება 100-ზე. საბაზრო კაპიტალიზაცია გამოიანგარიშება, როგორც კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების რაოდენობა გამრავლებული აქციის საბაზრო ფასზე. თუ დათვლის მომენტისათვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ნომინალური მშპ-ს დაზუსტებული მაჩვენებელი, მაშინ გამოთვლაში გამოიყენება ქვეყნის		

	ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)-ში ასახული ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელი მაჩვენებელი.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	3.90%	7.50%	8.00%

ინდიკატორის დასახელება	1.1.1 ყველა ვალუტაში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ჯამური ნაშთი, გარდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოშვებული ობლიგაციებისა (წილი ლარში)	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		V
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.1 ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ საჯარო კორპორატიული ობლიგაციების ჯამურ ნაშთს (განთავსებული). ასევე მაჩვენებელი ასახავს აღნიშნულ ნაშთში ლარში დენომინირებული საჯარო კორპორატიული ობლიგაციების წილს. გამოთვლაში არ გამოიყენება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ობლიგაციები, თუმცა, გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ობლიგაციები და გენდერული ობლიგაციები. მაჩვენებელი არ მოიცავს ისეთი ორმაგი ლისტინგის ობლიგაციებს, რომელთა პირველადი გამოშვების ბაზარი არის საზღვარგარეთ.	
დადასტურების წყარო	საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები, საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის მონაცემები	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ	

მეთოდოლოგია	ნაშთის გამოთვლისათვის როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საჯარო კორპორატიული ობლიგაციების ჯამურ ემისიას აკლდება შესაბამისი ემისიის ფარგლებში გამოთვლის მომენტისათვის განხორციელებული გადახდები. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კორპორატიული ობლიგაციების ნაშთის გამოთვლისას გამოიყენება შესაბამისი პერიოდის ბოლოს არსებული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები. გამოთვლაში არ გამოიყენება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ობლიგაციები, მიუხედავად იმისა გააჩნიათ თუ არა ამ ობლიგაციებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ობლიგაციების ან გენდერული ობლიგაციების სტატუსი. მაჩვენებელი განცალკევებით ასახავს ლარის წილსაც, შესაბამისად, ლარში დენომინირებული საჯარო კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი იყოფა ყველა ვალუტაში დენომინირებული საჯარო კორპორატიული ობლიგაციების ჯამურ ნაშთზე და მრავლდება 100-ზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	519,000,000 (50%)	2,400,000,000 (32%)	3,100,000,000 (37%)

ინდიკატორის დასახელება	1.1.2 სახაზინო ფასიანი ქაღალდების საშუალო შეწონილი ვადიანობა	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		V
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.1 ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს სახაზინო ფასიანი ქაღალდების ვადიანობებისა და დაუფარავი მოცულობის ნამრავლის საშუალო (შეწონილ) მაჩვენებელს.	
დადასტურების წყარო	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	

მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის თითოეული სახაზინო ფასიანი ქაღალდის ვადიანობასა და დაუფარავი მოცულობების ნამრავლის ჯამი იყოფა სახაზინო ფასიანი ქაღალდის ჯამურ დაუფარავ მოცულობაზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		სახაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	3	3.5	4

ინდიკატორის დასახელება	1.1.3 კორპორატიული ობლიგაციების ბრუნვის მაჩვენებელი (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარდა, როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ადგილობრივი ობლიგაციების გათვალისწინებით)	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		V
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.1 ადგილობრივი ობლიგაციების ბაზრის განვითარება	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს საჯარო კორპორატიული ობლიგაციების მეორად ბაზარზე აქტივობას. გამოთვლაში გათვალისწინებულია როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საჯარო კორპორატიული ობლიგაციები. გამოთვლაში არ გამოიყენება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ობლიგაციები და ისეთი ორმაგი ლისტინგის ობლიგაციები, რომელთა პირველადი გამოშვების ბაზარი არის საზღვარგარეთ.	
დადასტურების წყარო	საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები, საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	

მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის ჯამდება ობლიგაციებთან მიმართებით საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიებზე დადებული გარიგებებისა და არასაბირჟო გარიგებების ღირებულებები და შედეგად მიღებული მაჩვენებელი იყოფა საჯარო კორპორატიული ობლიგაციების ჯამურ ნაშთზე (განთავსებული) (გამოთვლაში გამოიყენება პერიოდის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს არსებული მონაცემების საშუალო) და მრავლდება 100-ზე. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საჯარო კორპორატიული ობლიგაციების ნაშთისა და მეორად ბაზარზე განხორციელებული გარიგებების ღირებულებების გამოთვლისას, გამოიყენება შესაბამისი პერიოდის ბოლოს არსებული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	9.30%	11.00%	13.00%

ინდიკატორის დასახელება	1.2.1 აქციების ბრუნვის მაჩვენებელი	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		V
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.2 ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი ასახავს აქციების ბაზარზე ლიკვიდურობას	
დადასტურების წყარო	საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	

მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის ჯამდება აქციების ჭრილში საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიებზე დადებული გარიგებების ღირებულებები და არასაბირჟო გარიგებების ღირებულებები და შედეგად მიღებული მაჩვენებელი იყოფა პერიოდის დასაწყისში და პერიოდის ბოლოს საფონდო ბაზრის ჯამური კაპიტალიზაციის საშუალოზე და მრავლდება 100-ზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	0.1330%	0.0100%	0.0200%

ინდიკატორის დასახელება	1.2.2 დალისტული კომპანიების ფასიანი ქაღალდების საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებელი	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		V
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.2 ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს საფონდო ბირჟებზე სავაჭროდ დაშვებული, ანუ დალისტული ¹ , კომპანიების ფასიანი ქაღალდების (აქციების) საბაზრო კაპიტალიზაციას.	
დადასტურების წყარო	საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ	

¹ საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ქაღალდები რომლებიც აკმაყოფილებენ საფონდო ბირჟის „საქართველოს საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ“ დებულების მოთხოვნებს. იხ. ბმულზე: https://gse.ge/upload/Listin_Rules_GEO_3ade087b.pdf

მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის ჯამდება საფონდო ბირჟებზე დალისტული კომპანიების ფასიანი ქაღალდების (აქციების) საბაზრო კაპიტალიზაცია (გამოთვლაში გამოიყენება პერიოდის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს არსებული მონაცემების საშუალო). საბაზრო კაპიტალიზაცია გამოიანგარიშება, როგორც კომპანიის მიერ გამოშვებული აქციების რაოდენობა გამრავლებული აქციის საბაზრო ფასზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	2,372,269,260	7,500,000,000	9,700,000,000

ინდიკატორის დასახელება	1.2.3 სავაჭრო სესიებისა და არასაბირჟო გარიგებების ნორმალიზებული კოეფიციენტი (წლიური მაჩვენებელი ვაჭრობის მოცულობათა და ტრანზაქციათა მიხედვით)	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		V
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.2 ადგილობრივი სააქციო კაპიტალის ბაზრის განვითარება	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს საფონდო ბირჟებზე, დალისტულ კომპანიებთან მიმართებით, სავაჭრო სესიებისა და არასაბირჟო გარიგებებისას დაფიქსირებული ტრანზაქციების ჯამური მაჩვენებლების ნორმალიზებულ კოეფიციენტს. კოეფიციენტის გამოყენებით, ბაზარზე დაკვირვებისას მცირდება არსებული მაჩვენებლების ცვალებადობის გავლენა.	
დადასტურების წყარო	საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ	
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის თითოეული აქციის ემიტენტისათვის ჯამდება პერიოდის განმავლობაში საფონდო ბირჟის სავაჭრო სესიებისა და არაბირჟო გარიგებებისას დაფიქსირებული ტრანზაქციების ღირებულება,	

	ხდება შესაბამისი ემიტენტისათვის აღნიშნული მონაცემების ნორმალიზება და იკრიბება მიღებული მაჩვენებლები.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	1.08	1.10	1.15

ინდიკატორის დასახელება	1.3.1 დალისტული სახელმწიფო საწარმოების ფასიანი ქაღალდების რაოდენობა (ბოლო სამი წლის განმავლობაში)		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		V	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.3 სახელმწიფო საწარმოების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე		
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს დათვლის მომენტისათვის ბოლო სამი წლის განმავლობაში იმ ახალი შემთხვევების რაოდენობის დათვლას, როდესაც სახელმწიფო საწარმოების ფასიანი ქაღალდი სავაჭროდ იშვება ადგილობრივ საფონდო ბირჟებზე.		
დადასტურების წყარო	საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები		
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ		
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის ბოლო სამი წლის მანძილზე ჯამდება იმ შემთხვევების რაოდენობა, როდესაც დალისტული სახელმწიფო საწარმოების ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ იშვება ადგილობრივ საფონდო ბირჟებზე.		
ინდიკატორის მაჩვენებლები	საბაზისო	სამიზნე	
		შუალედური	საბოლოო

	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	0	3	5

ინდიკატორის დასახელება	1.3.2 დალისტული სახელმწიფო საწარმოების ფასიანი ქაღალდების ღირებულება ლარში (ბოლო სამი წლის განმავლობაში)		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
		V	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 1.3 სახელმწიფო საწარმოების ჩართულობის გაზრდა ადგილობრივ კაპიტალის ბაზარზე		
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს დათვლის მომენტისათვის ბოლო სამი წლის მანძილზე საფონდო ბირჟებზე დალისტული სახელმწიფო საწარმოების ფასიანი ქაღალდების ღირებულებას. გამოთვლაში გამოიყენება, როგორც სასესხო, ასევე წილობრივი ფასიანი ქაღალდები.		
დადასტურების წყარო	საქართველოს საფონდო ბირჟის მონაცემები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მონაცემები, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები		
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ		
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის ბოლო სამი წლის მანძილზე ჯამდება ადგილობრივ საფონდო ბირჟებზე დალისტული სახელმწიფო საწარმოების ფასიანი ქაღალდების ღირებულებები. წილობრივი ფასიანი ქაღალდების ღირებულების გამოთვლისათვის გამოიყენება საბაზრო კაპიტალიზაციის მაჩვენებელი (შეთავაზებული აქციების რაოდენობა გამრავლებული აქციის საბაზრო ფასზე). ხოლო სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის გამოიყენება განთავსებული ობლიგაციების ჯამური ღირებულება. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფასიანი ქაღალდების ღირებულების გამოთვლისას გამოიყენება შესაბამისი პერიოდის ბოლოს არსებული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსები.		
		საბაზისო	სამიზნე

ინდიკატორის მაჩვენებლები			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	0	20,000,000	45,000,000

ინდიკატორის დასახელება	2.1 არასაბანკო სექტორში განთავსებული საინვესტიციო აქტივების წილი მთლიან საფინანსო სექტორის საინვესტიციო აქტივებთან (დეპოზიტების ჩათვლით)		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
	V		
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 2. კაპიტალის სტიმულირება და მობილიზება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდებისათვის		
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს არასაბანკო საფინანსო სექტორში განთავსებული საინვესტიციო აქტივების შეფარდებას საფინანსო სექტორის მთლიან საინვესტიციო აქტივებთან		
დადასტურების წყარო	საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემები		
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ		
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის არასაბანკო საფინანსო სექტორში განთავსებული საინვესტიციო აქტივების (საბროკერო ანგარიშებსა და ქასტოდიანურ (custody) ანგარიშებზე არსებული აქტივების ღირებულება; სადაზღვევო კომპანიების აქტივები, რომლებიც მოიცავს სიცოცხლის დაზღვევის სახეობაში მოზიდულ სადაზღვევო პრემიას; აქტივების მმართველი კომპანიებისა და მათი მართვის ქვეშ მყოფი საინვესტიციო ფონდების აქტივების ღირებულება; საპენსიო სქემების ჯამური აქტივები) ჯამური ღირებულება იყოფა საფინანსო სექტორის მთლიან საინვესტიციო აქტივების ღირებულებაზე (არასაბანკო საფინანსო სექტორში განთავსებული საინვესტიციო აქტივები, კომერციული ბანკების მიერ მოზიდული დეპოზიტები (მიმდინარე ანგარიშები, მოთხოვნამდე დეპოზიტები, ვადიანი დეპოზიტები)) და მრავლდება 100%-ზე.		

ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
მაჩვენებელი		19.18%	30.00%	35.00%

ინდიკატორის დასახელება	2.2. პორტფელის ინვესტიციების წილი მშპ-თან მიმართებით (ვალდებულებების მხარე)			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის		
	V			
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 2. კაპიტალის სტიმულირება და მობილიზება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდებისათვის			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს უცხოელების მიერ ქართული პორტფელური ფინანსური აქტივების ფლობას.			
დადასტურების წყარო	საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები, კერძოდ, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (BPM-6), საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის ვალდებულებების მხრიდან პორტფელის ინვესტიციები ფიქსირდება და იყოფა მშპ-ზე მიმდინარე ფასებში და მრავლდება 100-ზე. თუ დათვლის მომენტისათვის საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ნომინალური მშპ-ს დაზუსტებული მაჩვენებელი, მაშინ გამოთვლაში გამოიყენება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD)-ში ასახული ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელი მაჩვენებელი.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028

	მაჩვენებელი	16.00%	17.00%	19.00%
--	-------------	--------	--------	--------

ინდიკატორის დასახელება	2.3. ინსტიტუციური ინვესტორების ჯამური საინვესტიციო აქტივების ღირებულება მშპ-თან მიმართებით		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის	
	V		
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	მიზანი 2. კაპიტალის სტიმულირება და მობილიზება ადგილობრივი ფასიანი ქაღალდებისათვის		
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს ინსტიტუციური ინვესტორების ჯამური საინვესტიციო აქტივების ღირებულების შეფარდებას მშპ-თან მიმდინარე ფასებში.		
დადასტურების წყარო	საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემები, საპენსიო სააგენტოს მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები		
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო		
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ		
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის ადგილობრივი ინსტიტუციური ინვესტორების ჯამური საინვესტიციო აქტივების (სადაზღვევო კომპანიების აქტივები, რომლებიც მოიცავს სიცოცხლის დაზღვევის სახეობაში მოზიდულ სადაზღვევო პრემიას; აქტივების მმართველი კომპანიებისა და მათი მართვის ქვეშ მყოფი საინვესტიციო ფონდების აქტივების ღირებულება; საპენსიო სქემების ჯამური აქტივები) ღირებულება იყოფა მშპ-ზე მიმდინარე ფასებში და მრავლდება 100%-ზე. თუ დათვლის მომენტისათვის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე არ არის ხელმისაწვდომი ნომინალური მშპ-ს დაზუსტებული მაჩვენებელი, მაშინ გამოთვლაში გამოიყენება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში (BDD)-ში ასახული ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელი მაჩვენებელი.		
		საბაზისო	სამიზნე

ინდიკატორის მაჩვენებლები			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	3.40%	7.50%	10.00%

ინდიკატორის დასახელება	2.1.1. საპენსიო ფონდების აქტივების ღირებულება			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის		
		V		
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 2.1. ინსტიტუციური ინვესტორების ბაზის განვითარება			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს საქართველოში მოქმედი კერძო და დაგროვებითი საპენსიო ფონდების აქტივების ჯამურ ღირებულებას.			
დადასტურების წყარო	საპენსიო სააგენტოს ვებგვერდის მონაცემები, საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდის მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	ჯამდება საქართველოში არსებული/რეგისტრირებული ყველა საპენსიო ფონდის (საპენსიო სააგენტო და ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემის) აქტივების ღირებულება.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	2,010,000,000	7,050,000,000	12,100,000,000

ინდიკატორის დასახელება	2.1.2. საინვესტიციო ფონდების / აქტივების მმართველი კომპანიების მართვის ქვეშ არსებული აქტივების ღირებულება			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის		ამოცანის შედეგის	
			V	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 2.1. ინსტიტუციური ინვესტორების ბაზის განვითარება			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს საქართველოში მოქმედი საინვესტიციო ფონდების/აქტივების მმართველი კომპანიების მართვის ქვეშ არსებული აქტივების ჯამურ ღირებულებას. რადგან რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდების აქტივების ღირებულება კონფიდენციალურია, მათთვის გამოყენებულია აქტივების აგრეგირებული ღირებულება.			
დადასტურების წყარო	საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიწოდებული ანგარიშები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეროვნული ბანკი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	ჯამდება საქართველოში მოქმედი საინვესტიციო ფონდების / აქტივების მმართველი კომპანიების მართვის ქვეშ არსებული აქტივების ღირებულება.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	0	300,000,000	500,000,000

ინდიკატორის დასახელება	2.1.3. სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული სადაზღვევო პრემია სიცოცხლის დაზღვევის სახეობაში		
ინდიკატორის ტიპი	გავლენის		ამოცანის შედეგის
			V

ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 2.1. ინსტიტუციური ინვესტორების ბაზის განვითარება			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების მიერ სიცოცხლის დაზღვევის სახეობაში მოზიდული სადაზღვევო პრემიის ჯამურ მოცულობას			
დადასტურების წყარო	საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისათვის ჯამდება საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების მიერ სიცოცხლის დაზღვევის სახეობაში მოზიდული სადაზღვევო პრემია			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	60,000,000	120,000,000	240,000,000

ინდიკატორის დასახელება	2.2.1. საბროკერო ანგარიშების რაოდენობა, რომელზეც განთავსებული აქტივები ტოლია ან აღემატება 1000 ლარს (უცხოური ვალუტის ექვივალენტის ჩათვლით)	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		V
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 2.2. პროფესიონალებისა და საცალო ინვესტორების ჩართულობის გაზრდა	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს იმ სუბიექტების რაოდენობის დათვლას (იურიდიული და ფიზიკური პირები როგორც გათვითცნობიერებული, ასევე გაუთვითცნობიერებელი), რომელთა საბროკერო ანგარიშებზე არსებული აქტივების ღირებულება (ფულადი სახსრები და ფასიანი	

	ქაღალდები) ტოლია ან აღემატება 1000 ლარს (უცხოური ვალუტის ეკვივალენტის ჩათვლით).			
დადასტურების წყარო	საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიწოდებული მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეროვნული ბანკი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	პერიოდის ბოლოს ჯამდება იმ საბროკერო ანგარიშების რაოდენობა (ფიზიკური პირებისა და იურიდიული პირების მიხედვით), რომელზედაც არსებული აქტივების ღირებულება (ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები) ტოლია ან აღემატება 1000 ლარს (უცხოური ვალუტის ეკვივალენტის ჩათვლით).			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	N/A	15,500	22,000

ინდიკატორის დასახელება	2.2.2. ბაზრის აკრედიტებულ მონაწილეთა რაოდენობა	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		V
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 2.2. პროფესიონალებისა და საცალო ინვესტორების ჩართულობის გაზრდა	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს სპეციალურად დაარსებული კაპიტალის ბაზრის სფეროში პროფესიული ასოციაციის წევრების რაოდენობას და ასევე ფინანსური ანალიტიკოსის წოდების მფლობელების (CFA) რაოდენობის დათვლას.	
დადასტურების წყარო	პროფესიული ასოციაციის ანგარიში (შექმნის შემდეგ), CFA Institute-ის რეესტრი	

მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
მონაცემების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	ითვლება პროფესიული ასოციაციის წევრებისა და ფინანსური ანალიტიკოსის წოდების მფლობელების (CFA) არსებული რაოდენობის დაჯამებით.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	52	130	200

ინდიკატორის დასახელება	2.2.3. გათვითცნობიერებული ინვესტორების საბროკერო ანგარიშების რაოდენობა	
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის
		V
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 2.2. პროფესიონალებისა და საცალო ინვესტორების ჩართულობის გაზრდა	
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს გათვითცნობიერებული ინვესტორების რაოდენობის დათვლას.	
დადასტურების წყარო	საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მიწოდებული მონაცემები	
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეროვნული ბანკი	
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ	
მეთოდოლოგია	დათვლის მომენტისთვის ჯამდება საბროკერო ანგარიშების მფლობელთა შორის გათვითცნობიერებული ინვესტორების რაოდენობა.	

ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	N/A	1000	1700

ინდიკატორის დასახელება	2.3.1. არარეზიდენტი ინვესტორების წილი სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის		ამოცანის შედეგის	
			V	
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 2.3. უცხოური ინვესტიციების გაზრდა ადგილობრივ კაპიტალის ბაზრებზე			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს არარეზიდენტი ინვესტორების წილს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების (სახაზინო ობლიგაციები და სახაზინო ვალდებულებები) მფლობელებს შორის.			
დადასტურების წყარო	საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემები, საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები, კერძოდ, სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით (TSH)			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	არარეზიდენტი ინვესტორების მფლობელობაში არსებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაუფარავი მოცულობა იყოფა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მთლიან ჯამურ დაუფარავ მოცულობაზე და მიღებული მაჩვენებელი მრავლდება 100-ზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	9.60%	11.00%	20.00%

ინდიკატორის დასახელება	2.3.2. არარეზიდენტი ინვესტორების წილი საჯარო კორპორატიულ ობლიგაციებში			
ინდიკატორის ტიპი	გავლენის	ამოცანის შედეგის		
		V		
ინდიკატორის კავშირი სტრატეგიის მიზანთან / ამოცანასთან	ამოცანა 2.3. უცხოური ინვესტიციების გაზრდა ადგილობრივ კაპიტალის ბაზრებზე			
ინდიკატორის აღწერა	ინდიკატორი გულისხმობს ადგილობრივ ბაზარზე მიმოქცევაში არსებული საჯარო კორპორატიული ობლიგაციების მფლობელთა შორის არარეზიდენტი ინვესტორების წილს. გამოთვლაში გამოიყენება როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საჯარო კორპორატიული ობლიგაციები.			
დადასტურების წყარო	საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემები			
მონაცემების შეგროვებაზე პასუხისმგებელი უწყება	საქართველოს ეროვნული ბანკი			
მონაცემების შეგროვების სიხშირე	6 თვეში ერთხელ			
მეთოდოლოგია	არარეზიდენტი ინვესტორების მფლობელობაში არსებული საჯარო კორპორატიული ობლიგაციების ნაშთი იყოფა საჯარო კორპორატიული ობლიგაციების მთლიან ჯამურ ნაშთზე და მიღებული მაჩვენებელი მრავლდება 100-ზე.			
ინდიკატორის მაჩვენებლები		საბაზისო	სამიზნე	
			შუალედური	საბოლოო
	წელი	2021	2025	2028
	მაჩვენებელი	N/A	42.00%	46.00%